შპს “საინჟინრო ნაგებობათა პროექტირების, კვლევის და ექსპერტიზის სამეცნიერო ცენტრი”

LTD “THE SCIENTIFIC CENTER OF ENGINEERING BUILDING DESIGNING RESEARCH AND EXPERTISE”

ტელ: 577588218 599179823; (032) 2227704

E-mail: d.tabatadze@gtu.ge

22.07.2025 № 2023/2025

ვამტკიცებ
დირექტორი:
დემური ტაბატაძე

ექსპერტიზის დასკვნა

ობიექტის მისამართი და დასახელება: **ქ. თბილისი, ღოღობერიძის ქუჩის მიმდებარედ ნაკვეთი №9, საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი**

დასკვნის საგანი: ქალაქ თბილისის მერიის მუნიციპალური ინსპექციის №003026 შემოწმების აქტის დანართი

დასრულებულია: 22 ივლისი 2025 წელი

ინსპექტირების შემსრულებლები

ექსპერტი: *დემური ტაბატაძე*

სამართლებრივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელნი ვართ ინსპექტირება ვაწარმოოთ მიუკერძოებლად, ჯეროვნად ჩავატაროთ კვლევა და დავიცვათ ინსპექტირების ჩატარების დროს მიღებული ან წარმოქმნილი ნებისმიერი სახის ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

ორგანოს ხელმძღვანელის მიერ განგვემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილება და მშენებლობის ნებართვის გაცემის წესის და სანებართვო პირობების შესახებ "საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება;
2. საქართველოს მთვარობის №71 დადგენილება –„საქართველოს ტერიტორიაზე სამშენებლო სფეროს მარეგულირებელი ტექნიკური რეგლამენტები“:
   - ტექნიკური რეგლამენტი – „ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები“ (დანართი 1);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „შენობებისა და ნაგებობების ფუძეები“ (დანართი 2);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სეისმომედეგი მშენებლობა“ (დანართი 3);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „წყალმომარაგების და კანალიზაციის გარე ქსელები და ნაგებობები“ (დანართი 4);
   - ტექნიკური რეგლამენტი – „სამშენებლო კლიმატოლოგია“ (დანართი 5);
3. СНиП II - 23-81 „Стальные конструкции“;
4. СНиП II 21 - 75 „приложение 5“.

სამშენებლო საქმიანობაზე საჯარო ზედამხედველობის ორგანოს მიერ კონსტრუქციული ნაწილის მიმართ დადგინდა შემდეგი დარღვევები:

კორპუსი B

კიბის უჯრედში ნაწილობრივ შეცვლილია საფეხურების რაოდენობა. “b.D” და “b.3” ღერძის გარეთ ლიფტის შახტასთან დამატებულია კედლები. -6.75 ნიშნულზე „a.1“ ღერძის გარეთ „b.b.c-b.b.B“ მონაკვეთში სადარბაზოსა და პარკინგის სივრცეს შორის იატაკის დონის ცვლილების გამო შექმნილია საფეხური.

+6.95 ნიშნული: „b.1-b.3“ მონაკვეთში დამხმარე ფართებში ნაწილობრივ მონაცვლებულია მონოლითური კედლების მდებარეობა და შეცვლილია მათი სიგრძე. მონაცვლებულია „b.1“ ღერძთან მდებარე კარის და „b.1“ ღერძზე მდებარე მონოლითურ კედელში არსებული ღიობის მდებარეობა.
+29.58 ნიშნული: გაზრდილია ნიშნულის სიმაღლე და შეცვლილია იატაკის დონეებს შორის სხვაობა.

ზემოაღნიშნული დარღვევების გათვალისწინებით ჩატარებული სამოწმებელი ანგარიშით მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ ნაგებობა აკმაყოფილებს მდგრადობისა და სიმტკიცის შესაბამისი ნორმატიული დაკუმენტების მოთხოვნებს და კორექტირება არ ახდენს შენობების მზიდუნარიანობაზე და სიმტკიცეზე გავლენას. “დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა” შეესაბამება სამშენებლო ნორმებსა და წესებს. გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით შენობის მდგრადობა და საიმედოობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

დასკვნა:

გამოვლენილი დარღვევების განხილვითა და სამოწმებელი გაანგარიშებით დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა შეესაბამება სამშენებლო ნორმებსა და წესებს, გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით შენობის მდგრადობა და საიმედოობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად. ყოველივე აღნიშნული შეესაბამება პროექტის კონსტრუქციულ ნაწილს, რომელიც შესრულებულია არქიტექტურული გადაწყვეტების ბოლო (თავის დროზე არაატვირთული) ვერსიის მიხედვით.

"დარღვევით ნაწარმოები მშენებლობა" შეესაბამება სამშენებლო ნორმებსა და წესებს. გამოვლენილი დარღვევების გათვალისწინებით შენობის მდგრადობა და საიმედოობა უზრუნველყოფილია ქვეყანაში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების შესაბამისად.

შენობის ფუძეები, საძირკვლები და შემადგენელი კონსტრუქციული ელემენტები აკმაყოფილებს მდგრადობის, სიმტკიცის და დეფორმაციის შესაბამისი ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნებს, პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

ექსპერტი /დ.ტაბატაძე/

22 ივლისი 2025 წელი